# 41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

## ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲡ



## ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲔᲚᲔᲑᲝ!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ლენტეხის მერობის კანდიდატისა და ლენტეხის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ლენტეხის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ლენტეხი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ლენტეხის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს ლენტეხის ბიუჯეტის ხარჯები 2,9 მილიონი ლარი იყო, 2021 წლის გეგმით 3,9 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 2,1 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 4,3 მლნ ლარია.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **აგროდაზღვევის პროგრამით** დაზღვეულია ჯამურად, 10 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 28 792 ლარი), რითაც 28 ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 55 კოოპერატივი (503 მეპაიე, კაპიტალი – 130 056 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 30 000 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა – 2 833 ლარი). **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა** 2020 წლიდან ხორციელდება. ამ პერიოდში ლენტეხში 1 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ინვესტიცია 31 934 ლარი, თანადაფინანსება 25 547 ლარი).

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 522 374 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 657 270 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 94 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 21, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 73 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2013-2021 წლებში, **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში აშენდა** 4 ჰიდროელექტროსადგური (რაჭაჰესი, კალეთიჰესი2, ხეორიჰესი, ჯონოულიჰესი 1), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 21,5 მგვტ-ია.

**მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური:**

- რაჩხა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,3 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ბერბალი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 0,9 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხუნი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 23 მლნ აშშ დოლარი;
- ქიორა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 14,1 მგვტ, 14 მლნ აშშ დოლარი;
- მაჟიეთი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 12,2 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ღები ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 14,3 მგვტ, 14,3 მლნ აშშ დოლარი;
- ღერე ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 9,4 მგვტ, 12,9 მლნ აშშ დოლარი;
- საკაურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;

## ლენტეხში „განახლებული რეგიონების" ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს









41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

- ლასკადურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ბოყო ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 1,5 მლნ აშშ დოლარი;
- სადშელი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 4,4 მგვტ, 6 მლნ აშშ დოლარი;
- ჩორდულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,97 მგვტ, 3,54 მლნ აშშ დოლარი.

## ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- სორგითი ჰესი 1 – დადგმ. სიმძლავრე 15,2 მგვტ, 21,07 მლნ აშშ დოლარი;
- სორგითი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 16 მგვტ, 18,781 მლნ აშშ დოლარი;
- ჯონოული 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 32 მგვტ, 50 მლნ აშშ დოლარი;
- ქვედი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,7 მგვტ, 1,3 მლნ აშშ დოლარი;
- ლაჯანური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16 მგვტ, 26 მლნ აშშ დოლარი;
- ღარულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,5 მგვტ, 3,7 მლნ აშშ დოლარი;
- ალპანა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 55,3 მგვტ, 70 მლნ აშშ დოლარი;
- ძუღური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 3,1 მლნ აშშ დოლარი;
- ნოწარული ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,38 მგვტ, 9,9 მლნ აშშ დოლარი;
- დუსკური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ლენტეხში, მუნიციპალიტეტის 4 სოფლის (მანანური, ცხუმალდი, ბავარი, ხაჩეში) 59 მოსახლე ჩაერთო ელექტროენერგიის ქსელში. 2 231 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების" გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** განხორციელდა დაბა ლენტეხსა და ტურისტულ ზონებში, საავტომობილო გზებსა და ცენტრალურ მაგისტრალზე, ისტორიული ძეგლების, ტურისტული ობიექტების მანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე მიმართულების მანიშნებელი ფირნიშებისა და სპეციალური აბრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენაზე. ასევე ლენტეხში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო-საორიენტაციო სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ობიექტების შესახებ; განხორციელდა სალაშქრო ბილიკების მარკირება.

- **მომავალში „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს, ლენტეხში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ამ ეტაპზე მზადდება ტყის მართვის გეგმა. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლისა და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით. 2013-2020 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 28 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ლენტეხში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 4 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 6,8 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 507 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

## 2021-2022 წლებისთვის, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფლებში: საყდარი, ლეუშერი, მამი-ედიყი შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 75 000 ლ;
- სოფლებში: გულიდი, ბაბილი, ყარიში, ლასკადურა და ახალი დასახლების უბანში შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 160 000 ლ;
- სოფლებში: ლესემა, წანაში, ხელედი შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 210 000 ლ;
- სოფლებში: ნაცული, მელე, ჩიხარეში, შკედი (სტადიონთან) შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 140 000 ლ;
- სოფლებში: ლემზაგორი, ჟახუნდერი, დევდარიანების უბანი, კერბულა, მებეცი, ლეკოსანდი, სასაში-ლუჯის(დამაკავშირებელი გზა) შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 225 000 ლ;
- სოფლებში: ხოფური, რცხმელური, გვიმბრალა შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა – 100 000 ლ;
- სოფლებში: თეკალი, შკედი ხიდების რეაბილიტაცია – 50 000 ლ;
- სოფ.ლესემაში ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა – 56 000 ლ;
- სოფლებში: ჭველიერი, ლეუშერში, ბაბილი, წანაში, ლესემა, ხელედი (გიოშერის უბანი) წყალსადენების რეაბილიტაცია/მშენებლობა – 115 000 ლ;
- სოფ.ლასკადურაში კანალიზაციის რეაბილიტაცია – 20 000 ლ;
- სოფლებში: შკედი, სასასი, ჩუკული, მელე (წყარო)წყალსადენების რეაბილიტაცია/მშენებლობა – 112 000 ლ;
- სოფ. ნანარში წყალსადენების რეაბილიტაცია/მშენებლობა – 70 000 ლ;
- დაბა ლენტეხში, ხერგიანის ქუჩაზე, ღობეებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა – 255 700 ლ;
- სოფ. ლემზაგორში, ლუჯიში, ჭველფში, გვიმბრალასა და ნანარში მინისტადიონების მოწყობა – 250 000 ლ;
- სოფ. სასასში ომში გმირულად დაღუპული ალეკო და ემზარ ონიანების სახელობის სკვერისა და მემორიალის მოწყობა – 50 000 ლ;
- დაბაში ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია – 292 000 ლ;
- დაბა ლენტეხში, ლექართის ქუჩაზე ბეტონის გზის მოწყობა – 197 910 ლ;
- ლენტეხი-ფაყი-სკალდის გზის მოწყობა – 220 000 ლ;
- ქუთაისი– ლენტეხი-ლასდილის გზის ლენტეხი-ლასდილის 40 კმ მონაკვეთის მოასფალტება – 5 600 000 ლ;
- ჩოლურის თემის სოფლებში შიდაგზების რეაბილიტაცია – 61 605 ლ;
- დაბა ლენტეხის ქუჩების მოასფალტება – 311 372 ლ;
- ხოფურის თემში შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 29 990 ლ;
- დაბა ლენტეხში ასაქცევი გზის დამცავი ჯებირის მოწყობა – 110 880 ლ;
- ჩიხარეში, ლაშხარაში, მარგვიში, ნაცული და ახალშენი შიდასასოფლო გზების მოწყობა – 80 831 ლ;
- სოფ. მამში ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა – 43 812 ლ;
- სოფ. გვიმბრალაში საავტომობილო ხიდი მოწყობა ლაღარვაშისა და ოთიას უბნის, აგრეთვე რცხმელურისა და ყვედრეშის მიმართულებით – 123 988 ლ;
- სოფ. მებეცთან ცხენისწყალზე საავტომობილო ხიდის მარცხენა ბურჯის დამცავი ბეტონის კედლის მოწყობა – 41 172 ლ;
- დაბა ლენტეხში ინტერნატის, ჭველფის ხიდებისა და ლესემის ხიდების რეაბილიტაცია – 12 467 ლ;
- სოფ. სასაში გიმრაშურის ხიდის ჯებირების მოწყობა გაბიონით – 20 298 ლ;
- ლეკოსანდის საავტომობილო ხიდების რეაბილიტაცია – 43 660 ლ;
- ხოფურის ხიდის მარცხენა ბურჯის რეაბილიტაცია – 47 722 ლ;
- ტვიბში, ედიყში, ჭველფში, დურაში ხიდების მოწყობა; ხოფურის, გაღმა ლექსურის, მუაშის მინერალური წყლების მოწყობა – 326 020 ლ;
- დაბა ლენტეხში თამარ მეფის ქ. არსებული სკვერისა, შურმან ბენდელიანის სკვერისა და მერიის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა – 414 377 ლ;
- დაბა ლენტეხის ცენტრალურ მოედანზე არქიტექტურული კომპოზიციის და შადრევნის მოწყობა – 12 509 ლ;
- დაბა ლენტეხში ჭავჭავაძისა და თამარ მეფის ქ. გარეგანათების მოწყობა – 199 137 ლ;
- სოფ. ლეკოსანდის, სასაშის, ჩიხარეშის და შკედის წყალსადენების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 120 055 ლ;
- ხელედის თემში სასმელი წყლის შიდაქსელის მოწყობა და სოფ. წანაში წყალსადენის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 97 788 ლ;
- სოფ. თეკალი, ჭველფი, მამი, ედიყი და ჭველიერი წყალსადენების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 80 888 ლ;
- სოფ. ფანაგა, მამი, საყდარი წყალსადენების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 89 867 ლ;
- სოფ. რცხმელურის, ნაღომარის, ყვედრეშის და გვიმბრალის წყლის სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 153 423 ლ;
- სოფ. კახურა, მელურა. გულიდა, მაცხვარლამეზურის წყლის სიტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 47 920 ლ;
- სოფ. ლასკადურა, ლეგვერალი, ზედა ლექსურა, ლექართის უბნის წყლის სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 41 064 ლ;
- სოფ. საყდარი, დურაშში, ესიერი, ბულეში წყლის სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 33 892 ლ;
- სოფ. ჭველიერი, მუწდი, ტვიბი – წყლის სისტემის ნაწილობრივ რეაბილიტაცია – 38 130 ლ;
- დაბა ლენტეხის ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობა – 25 413 ლ;
- სოფ. ჩიხარეში, ლუჯი და სასაში წყალსადენის სათავე ნაგებობების, მაგისტრალისა და შიდაქსელის მოწყობა – 141,252 ლ.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# გია ონიანი: „ლენტეხი უნდა გამოვაცოცხლოთ! ერთად ყველაფერს შევძლებთ!“

**„ოქროს კოშკებს“ ვერავის შევპირდები, არც ცრუ დაპირებების გაცემას ვიკადრებ!“, – ასე მიპასუხა, როცა ვკითხე, ლენტეხის მოსახლეობას წინასაარჩევნოდ რას ჰპირდებით-მეთქი. ერთადერთი დაპირება მითხრა – თავდაუზოგავად ვიშრომებ, რომ ლენტეხი გამოვაცოცხლოთო. შემდეგ ძალიან ვრცლად ვისაუბრეთ იმაზე, რა ემოციური კავშირი აქვს ლენტეხთან, როგორ გაატარა აქ ბავშვობა, როგორ ოჯახში გაიზარდა, რა გზა გაიარა და ყველა კითხვის ყველა პასუხში, ბუნებრივად მოაყოლა პატარ-პატარა იდეები და გეგმები, რომლებსაც ბევრი სხვა, „მყვირალა წინასაარჩევნო დაპირებად აქცევდა“. მას ხმების მოსაპოვებლად არც „მყვირალა ფრაზები“ სჭირდება და არც განსაკუთრებული რეკლამა. აქ, მშობლიურ ლენტეხში, მთავარი რეკლამა მისი ოჯახი, მშრომელი, ცნობადი მამა და დედაა. დედა ლენტეხის გზაზე ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა. მას აქ ყველა იცნობდა. როცა „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატად გია ონიანი დაასახელა, ნაილი დონღვანის ბიჭია და ლენტეხს აუცილებლად წაადგებაო – თქვეს ლენტეხელებმა. მშობლიური მუნიციპალიტეტის მკვიდრთა ეს განწყობა მოტივაციცაა და მეტ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს, რომ ლენტეხისთვის ბევრი რამ გააკეთოს. რატომ გადაწყვიტა აწყობილი ბიზნესი დატოვოს და ლენტეხს დაუბრუნდეს? – ეს კითხვა აუცილებლად გაგიჩნდებათ, როცა მის ბიოგრაფიას თვალს გადაავლებთ. პასუხს კი, სხვა საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, ლენტეხის მერობის კანდიდატის, გია ონიანის ინტერვიუში წაიკითხავთ:**



დაიბადა 1982 წლის 2 თებერვალს, ლენტეხში.

დაამთავრა ქუთაისის №7 საშუალო სკოლა, იმავდროულად ეწეოდა სპორტულ ცხოვრებას – ჰქონდა მიღწევები ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში. 2001-2006 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სპორტის აკადემიის იურდიულ ფაკულტეტზე, სპორტისა და ტურიზმის სამართლის მიმართულებით; აქვს მაგისტრის ხარისხი. 2006-2009 წლებში იყო კერძო სექტორში, 2009-2014 წლებში მუშაობდა შსს-ს პოლიციის აკადემიაში ტაქტიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ; 2014-2017 წლებში იყო სს „ნიკორა ტრეიდის" მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2016 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ბიზნესში. არის „ბიზნესის მონიტორინგისა და უსაფრთხოების სამსახურის“ დამფუძნებელი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– დავიბადე ლენტეხში. ლაშხეთის თემში, პატარა ისტორიულ სოფელში. ამ სოფლის სახელი სვანური სიტყვაა ლ'მბეც და „შეძლებულს“ ნიშნავს. ჩემი თემი ძლიერი იყო, ორი კოშკის მფლობელი. ისტორიული სოფელია, რომელიც მოკლე დროში უნდა გავაცნოთ საზოგადოებას. სამწუხაროდ, დღეს სოფელი დაცლილია. ზოგადად, ეს მთელი მუნიციპალიტეტის პრობლემაა... ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ჩემი მშობლებია. მამა, ბორის ონიანი ხმის ამოუღებელი, უპატიოსნესი კაცია. ბუღალტერი გახლავთ. ჩვენ სოფელში იყო ერთ-ერთი განათლებული და ცნობილი ადამიანი ბათარბეგ ონიანი, რომლის სახელსაც დიდი წინსვლა უკავშირდება. ჩვენთან თურმე ნაძვნარი ხმებოდა და მან შემოიყვანა ისეთი ჯიშის ციყვი, რომელმაც ტყე გადაარჩინა. ასეთი ისტორია ბევრია და ახალგაზრდებმა არ იციან. სხვათაშორის, ვგეგმავ, მსგავსი პიროვნებები „გავაცოცხლო“ და გავაცნო მთელ ქვეყანას. მამა იდგა ასეთი ადამიანის გვერდით. მათ ერთად გახსნეს ლენტეხში საქონლის სასაკლაო, რომელიც წარმატებით მუშაობდა და ფაქტობრივად, მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდა ხორცით. ასევე გააკეთეს ნუტრიების ფერმა, საკალმახე... მამა მუნიციპალიტეტისთვის მართლაც მნიშვნელოვან ფერმერულ საქმიანობას ეწეოდა. დედა კი, ჩემი დიდი მეგობარი იყო. დღესაც, საარჩევნო კამპანიას რომ ვატარებ, ამბობენ: „ეს არის ნაილი დონღვანის ბიჭი და ლენტეხს აუცილებლად წაადგება“. სამწუხაროდ, დედა ლენტეხისა და ჩემი სოფლის შემაერთებელ გზაზე გარდაიცვალა. ავტობუსი გადაბრუნდა. ფაქტობრივად, უგზოობამ შეიწირა. დედა ლენტეხის მუნიციპალიტეტში იყო ყველასთვის საყვარელი ადამიანი, ყველას მეგობარი და შეიძლება ითქვას – ყველას „დედა“. მისი სულის ხსოვნის პატივსაცემად, მინდა ჩემს მუნიციპალიტეტში ისე ვიშრომო და ვიღვაწო, რომ რაც მას სურდა და რა ხედვებიც ჰქონდა, ის განვახორციელო.

**– დედას ლენტეხის განვითარებასთან დაკავშირებით რამე განსაკუთრებული იდეა ჰქონდა?**

– დედა ლენტეხის ტურისტულ და სხვა პოტენციალს მაშინ ხედავდა, როცა ამაზე არავინ ლაპარაკობდა. სულ ამბობდა, ნახეთ როგორ დაფასდება ჩვენი მუნიციპალიტეტი. თითქოს დედამ წინასწარ განჭვრიტა ის პროექტები, რაც ახლა ხორციელდება მუნიციპალიტეტში. მას ჩემ აღზრდაში და პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. გარდატეხის ასაკშიც კი, რაიმე პრობლემა რომ შემექმნებოდა, მასთან განვიხილავდი და საოცარ რჩევებს მაძლევდა. ამასთანავე, მამის, ოჯახის თავის კულტიც შექმნა ოჯახში. ორი უფროსი და მყავს, ნათია და ხატია – დაოჯახებულები არიან. ბავშვობიდან, მამის ერთი გადმოხედვა საკმარისი იყო ჩვენთვის, რომ „ჭკვიანად ვყოფილიყავით“. ლენტეხში საოცარი ბავშვობა გავატარე. ლენტეხი ყოველთვის იყო ურთიერთობა და ჩემი ოცნებაც სწორედ ამ ურთიერთობების დაბრუნებაა. აქ ვისწავლე სიყვარული. ვერთობოდით, ვთამაშობდით, ზამთარში, გათოშილები, ბაბუების მიერ გაკეთებული ციგებით ვსრიალებდით... მე-9 კლასამდე ლენტეხში ვსწავლობდი. განსაკუთრებით მიყვარდა ისტორია. შემდეგ კი, სწავლა ქუთაისში გავაგრძელე. სკოლა 1999 წელს დავამთავრე და სწორედ დედის რჩევით ჩავაბარე სპორტისა და ტურიზმის სამართალზე, რაც მაშინ იშვიათობა იყო. სტუდენტობა რთულ პერიოდში მომიწია. გზაჯვარედინზე ვიდექით და თუ ოჯახი, გარემოცვა ხელს არ გიწყობდა, დიდი შანსი იყო არასწორი გზით წასულიყავი. ოჯახის გარდა, ხელი იმანაც შემიწყო, რომ სპორტით ვიყავი დაკავებული. ბავშვობაში ვცეკვავდი. შემდეგ კი, ჭიდაობით დავინტერესდი. ძიუდოსა და სამბოში მიღწევებიც მაქვს და საქართველოს ჩემპიონიც გავხდი, თუმცა ტრავმის გამო დავანებე თავი. ვარჯიში ლენტეხში გერასიმე ქურასბედიანი მასწავლიდა ქართულ ჭიდაობას. ქუთაისში კი – ვეფხია ბალხამიშვილი, უნიკალური მწვრთნელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, დავით ხახალეიშვილის მასწავლებელი. ბატონი ვეფხია გვეუბნებოდა „იყავით თავმდაბლები, მშვიდები. გარეგნულად კრავივით, მაგრამ თუ დაგჭირდათ ან დასჭირდა თქვენს ძმას, იყავით მგლები“. სპორტული მოღვაწეობა შემდეგ თბილისშიც გავაგრძელე.

**– ტრავმა რომ არ მიგეღოთ, იმ რთულ პერიოდში სპორტს ალბათ მაინც არ გაყვებოდით. თქვენი შეფასებით, დღეს სპორტსმენებს ხელსუფლების სათანადო ხელშეწყობა აქვთ?**

– სულ რომ არ გინდოდეს, თვალში მოგხვდება, თუნდაც ახლა ამ ოლიმპიადაზე რამხელა ხელშეწყობა აქვს სპორტს. ჩემი შვილებიც სპორტს მისდევენ და მათ სულ ვეუბნები, ჩემ დროს ასეთი ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, ალბათ ტრავმასაც ადვილად დავძლევდი და ვეცდებოდი, დიდ კვარცხლბეკზეც ავსულიყავი-მეთქი. სპორტის განვითარება ლენტეხში ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. ეს დღეს გამოწვევაა. გვაქვს დიდი დარბაზი, რომელიც ერთმა წარმატებულმა სპორტსმენმა ააგო, მაგრამ კეთილმოსაწყობია. ფედერაციებთან მაქვს კონტაქტები და დარწმუნებული ვარ ისინი და ხელისუფლებაც დაგვიდგებიან გვერდით. უნიკალური ადგილები გვაქვს, სადაც შეიძლება ძალიან მაღალი დონის შეკრებები მოეწყოს. ასევე, ჩემ მეგობრებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ანაში ძიუდოს მწვრთნელები არიან, მინდა, გასვლითი პროგრამები დავიწყოთ და დავარქვა პროგრამას „სტუმარ-მასპინძელი“. ეს იდეა მას შემდეგ გამიჩნდა, რაც გავწევრიანდი „ჩოხოსნებში“. აქ მყავს დიდი სამეგობრო, ღვაწლმოსილი ხალხი, რომლებიც უანგაროდ ცდილობენ ჩვენი ქვეყნის წინსვლას. ერთად დავსახეთ ეს პროექტი და მინდა ის ჩემი სახლიდან – ჩემი ლენტეხიდან დაიწყოს. მინდა სწორედ აქედან დავუძახოთ მთელ ქვეყანას: „გვიყვარდეს ერთმანეთი და გავერთიანდეთ!“

**– „ჩოხოსანი“ თუ ხართ, პატრიარქთან ურთიერთობის ბედნიერება გექნებოდათ. პოლიტიკურ ნაბიჯთან დაკავშირებით მასთან ხომ არ გისაუბრიათ?**

– არა. ასეთ საკითხებზე მამასთან და სულიერ მოძღვართან მაქვს საუბრები. რაც შეეხება პატრიარქს, ვცდილობ ვიყო ღირსეული მხედარი და მის მიერ წამოწყებული კეთილი საქმეები ვაკეთო. ნიკორწმინდაში 1000-წლისთავზე, უწმინდესის მობრძანების დროს, „ჩოხოსანთა“ მთავარი კორიდორი ჩემი ორგანიზებული იყო, რაშიც ჩემი სამსახურეობრივი გამოცდილება დამეხმარა. შემოსვლის დროს პატრიარქთან უჩვეულოდ ახლოს მომიწია დგომა. იმ განცდას სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ცრემლი თავისით მდიოდა. თითქოს აღსარება უსიტყვოდ ვამბობდი, შინაგანი ხმა კი მკარნახობდა, რომ ამიერიდან უფრო მეტი და დიადი სიკეთე უნდა ვაკეთო. თითქოს უფრო დიდი ნაბიჯებისთვის მოვემზადე.

**– დღეს „დიდ ნაბიჯს“ პოლიტიკისკენ დგამთ – ლენტეხის მერობისთვის იბრძვით. „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი რატომ ხართ?**

– 2012 წელს, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, პოლიციის აკადემიაში ვმუშაობდი, მთავარ ინსტრუქტორად. როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახდა, პოლიციის აკადემიას ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია მთავრობამ. მთავარი ის იყო, რომ მოგვისმინეს. მანამდე იშვიათობა იყო, მაღალი რანგის ადამიანები დაბალი რანგის ადამიანებს, სუბორდინაციის გარეშე შეხვედროდნენ, მოესმინათ და მათი აზრი გაეთვალისწინებინათ. ასეთი რამ, პრაქტიკულად არ ხდებოდა. ირაკლი ღარიბაშვილმა კი, გაიაზრა ჩვენი პრობლემები, გაითვალისწინა ჩვენი მოსაზრებები და მას შემდეგ ხდება გადამზადება მთელი პოლიციის. პოლიციის მუდმივი განვითარება აუცილებელია.

**– პოლიციის დეპოლიტიზირებაც აუცილებელია. შეგიძლიათ თამამად თქვათ, რომ დღეს პოლიცია პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალია?**

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მთავრობის დროს, ბევრად დეპოლიტიზირებული გახდა პოლიცია. ნებისმიერი პოლიციელი არჩევანში თავისუფალია. თუნდაც ახლა, საარჩევნო პროპაგანდაში, თამამად ვამბობ, არც ერთი სტრუქტურული ერთეული ჩარეული არ არის. პოლიციელი პოლიტიკურ არჩევანში არის თავისუფალი. ეს „ქართული ოცნების“ მიღწევაა. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ამ გუნდის წევრი მაქვს, თუმცა სხვაც უამრავია. მაგალითად, ჩემს

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

სოფლამდე მუნიციპალიტეტიდან ისეთი საშინელი გზა იყო, მისასვლელად ადრე დაახლოებით 2,5 საათი გჭირდებოდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ ამ გზის რეაბილიტაცია მოხდებოდა. „ქართულმა ოცნებამ“ ეს პროექტი წამოიწყო.

**– ანუ, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ლენტეხში მნიშვნელოვანი სიახლეებია?**

– „ქართული ოცნების“ პირობებში ლენტეხში ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მაგალითად, დაიწყო უდიდესი მნიშვნელობის პროექტი – წყალტუბო-ლენტეხი-ლასდილი-უშგულის მონაკვეთი ერთდება, კეთდება ასფალტის საფარი. ეს გზა გააერთიანებს რეგიონს და ტურისტული მარშრუტებიც ბევრად გაადვილდება. აქამდე ტურისტი მესტიაში შემოვლითი გზით მიდიოდა და პროექტის დასრულების შემდეგ, ვიზიტორი ლენტეხს გვერდს აღარ აუვლის. ამ პროექტმა სტიმულირება მოახდინა, რომ დაბრუნდნენ ლენტეხში. ბოლო 2-3 წელია ლენტეხში რამდენიმე სახლიც აშენდა, რაც მინიმუმ 30 წლის განმავლობაში არ მომხდარა. მაგალითად, სოფელ ჯიხარისში, დედით სვანმა არაჩვეულებრივმა ბიჭმა თორნიკე გვენეტაძემ ააშენა სახლი. ფაქტობრივად ყველა სოფელშია დაწყებული წყლის პროექტი. უმეტეს ადგილას დასრულებულიცაა. ყოველწლიურად ხდება გზისა და წყლის სისტემების შეკეთებაც, რადგან ჩვენთან კლიმატური პირობები ხშირად აზიანებს ინფრასტრუქტურას. ამ მხრივ გამოწვევა ისევ რჩება, რასაც ღირსეულად ვუპასუხებთ. გაზიფიცირება ცოტა გრძელვადიანი და რთული პროექტია, თუმცა განხორციელებადია და განვითარების გეგმაში უკვე გათვალისწინებულია.

**– კარგია, თუ ლენტეხში დაბრუნების ტენდენცია შეინიშნება. ინფრასტრუქტურის გარდა, რა უნდა გაკეთდეს, რომ მუნიციპალიტეტში ადგილობრივების დამაგრება მოხდეს და ახალგაზრდებსაც გაუჩნდეთ აქ ცხოვრების სურვილი?**

– ჩემი პირველი ხედვა და გეგმა იქნება სწორედ ადგილობრივების დამაგრებაზე ზრუნვა. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ახალგაზრდებს. პირველ რიგში განათლების ხელმისაწვდომობა. ინტერნეტიზაციის სამუშაოები მიმდინარეობს. გვპირდებიან, რომ სამომავლოდ ყველგან იქნება ინტერნეტი. ონლაისწავლების დროსაც იყო ხარვეზები. ახალგაზრდებს აქ დასაქმების საშუალებაც უნდა ჰქონდეთ. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს. მიკერძოებული არ ვარ. ჩვენთან, ბავშვები, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ფონიც დაბალია, ძალიან ბევრს მუშაობენ საკუთარ თავზე, სწავლობენ და მაქსიმალურად ითვისებენ ყველა ინფორმაციას, სიახლეს. მთავარია, მისცე მიმართულება და ხელი შეუწყო.

**– სამუშაო ადგილები პირველ რიგში ბიზნესმა უნდა შექმნას. ამ სფეროში დიდი გამოცდილება გაქვთ. დღეს ქვეყანაში როგორი ბიზნესგარემოა?**

– დიახ, კერძო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. როცა საკუთარი ნებით შინაგან საქმეთა სამინისტროდან წამოვედი, ერთ-ერთი დიდი კომპანიიდან მივიღე შემოთავაზება, მათთან მონიტორინგის დეპარტამენტი ჩამომეყალიბებინა. მე და ჩემმა მეგობარმა ეს წარმატებით განვახორციელეთ. მაშინ გამიჩნდა იდეა, გავაკეთე ჩემი კომპანია და საქართველოში პირველები ვიყავით, ვინც კომპანიებს მათი საქმიანობის მონიტორინგი შესთავაზა. მაშინ ეს იყო დიდი სიახლე. ამის შემდეგ შექმნეს სხვადასხვა კომპანიებმა შიდა მონიტორინგის სამსახურები, თუმცა ჩვენი კერძო კომპანია ბევრად წარმატებული გამოდგა, რადგან გარედან შესულ, მომსახურე კომპანიას ჰქონდა თავისი პრიორიტეტები. მალე მოვიპოვე ნდობა ისეთ სამშენებლო, ალკოჰოლური სასმელების თუ სხვა მიმართულების კომპანიებთან, რომლებიც ძალიან დიდი წარმატებით სარგებლობენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. დღეს ეს არის ოჯახური ბიზნესი, რომელსაც უძღვება ჩემი მეუღლე. მე დამფუძნებელი ვარ. მიხარია, რომ ქვეყანაში დღეს კარგი ბიზნესგარემოა და პანდემიის შემდეგაც, ნელ-ნელა კომპანიების განვითარებას აგრძელებენ.

**– ლენტეხის ტურისტულ პოტენციალს დედათქვენი 1990-იან წლებში ხედავდა. მუნიციპალიტეტში ეს მიმართულება ვითარდება?**

– ტურიზმის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მამოძრავებელი და მომავლის ინტერესია. ჩვენთან ნაკლებადაა განვითარებული. არადა, პოტენციალი დიდია. შეგვიძლია სამედიცინო ტურიზმი განვავითაროთ. მაგალითად, კურორტი მუაში, რომელიც კომუნისტების პერიოდში იყო ერთ-ერთი პირველი ბალნეოლოგიური ადგილი, სადაც ტუბდისპანსერებიდან ყველა აქ იგზავნებოდა სამკურნალოდ. იმდენი ხალხი დადიოდა, ჩაწერით უნდა გეშოვა ადგილი და მაშინდელი ბიუროკრატიის ფონზე, ნაცნობი თუ არ გყავდა, ვერ შეძლებდი ამას. დღეს მისასვლელი გზაც კი სავალალო მდგომარეობაშია. კოტეჯები განადგურებულია. 1-2 კოტეჯია შენარჩუნებული, რომელიც ადგილობრივმა გაარემონტა. კარგი იქნება თუ ინვესტორს დავაინტერესებთ ამ კურორტით.

**– ტურიზმის გარდა, ლენტეხის განვითარების მთავარი პერსპექტივა რა არის?**

– მაქსიმალურად უნდა წავახალისოთ მცირე მეწარმეები, რომლებიც ხეზე მუშაობენ. ისტორიულად, ჩვენ გვაქვს ხეზე კვეთის ძალიან დიდი კულტურა. ერთ-ერთი ჩემი პირველი ინტერესია ხეზე კვეთის სკოლის დაარსება. პროფესიული სასწავლებლები უნდა ავამუშავოთ. ბავშვებიც ძალიან დაინტერესებული არიან, რომ ისწავლონ და შექმნან თავიანთი ნამუშევრები. ლენტეხისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება. აქ ფერმერებისთვის შესანიშნავი პირობებია. გვაქვს დიდი მთები, აუთვისებელი საზაფხულო საძოვრები. ფერმერების წასახალისებლად მაქვს იდეა – მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, მინდა, საძოვრებზე რამდენიმე კარავი ჩავდგათ და მისასვლელი გზაც გავაკეთოთ. ამით ადამიანებს ფერმერობის ინტერესი გაუჩნდებათ. იყოლიებენ პირუტყვს. თხის მოსავლელად უნიკალური ადგილებია აქ. ღორისთვისაც, მუხნარია, რკო მოიპოვება. მახსოვს, ბავშვობაში მივყავდით მშობლებს რკოს შესაგროვებლად, რომ მერე ღორები გამოგვეკვება. აქ ძალიან კარგად მოდის სხვადასხვა კულტურა. ვაშლი, მსხალი, კენკროვნები, წაბლი, რკო... თითოეული ამ სახეობის გადამამუშავებელი საწარმოს ან ჩასაბარებელი პუნქტის გახსნა შესაძლებელია.

**– სოფლის მეურნეობის პროგრამებით არ სარგებლობენ ადგილობრივები?**

– სახელმწიფო პროგრამებითა და გრანტებით სხვადასხვა რეგიონში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია ნაკლებად შეინიშნება. ვფიქრობ, ამის მიზეზი კომუნიკაციის ნაკლებობაა. აუცილებლად უნდა გავაკეთოთ ცენტრი, სადაც მაქსიმალურ ინფორმაციას მივაწვდით მოსახლეობას ამ სახელმწიფო პროგრამების შესახებ. როგორც ხედავთ, გეგმა ბევრი მაქვს. დაპირებით კი, ჩემ ლენტეხელებს, ერთადერთ რამეს ვპირდები – მათთან მუდმივად მექნება ურთიერთობა და პრიორიტეტებსაც მათთან ერთად დავსახავ. ბავშვობიდანვე მაქვს სურვილი, ჩემ რაიონში ჩემი სახელი დავუკავშირო სიკეთის კეთებას და აღმშენებლობას. როცა გუნდში დაინახეს ჩემი მისწრაფება, არჩევანი ჩემზე გააკეთეს. ეს ჩემთვის დიდი პატივი, პასუხისმგებლობა და რაც მთავარია შანსია, რომ ჩემი ლენტეხის განვითარებაში დიდი წვლილი შევიტანო. ვფიქრობ, ლენტეხს მოსახლეობა მომცემს საშუალებას ეს შანსი გამოვიყენო, ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელო და რაც მთავარია, ავიხდინო ოცნება, რომელიც უკვე გაგიმხილეთ – მინდა ლენტეხში დავაბრუნო ის, ძველი ურთიერთობები და ერთობა. ერთად უნდა ავაშენოთ ახალი ლენტეხი. ერთად უნდა დავუბრუნოთ სიცოცხლე ლენტეხს! ერთად ყველაფერს შევძლებთ!



# გია ონიანის ოჯახი და ცხოვრების მთავარი პრინციპი

**„როცა მე-9 კლასის შემდეგ სასწავლებლად ქუთაისში გადავედი, საცხოვრებელი სახლის ეზოში შევნიშნე და მომეწონა ერთი პატარა, ლამაზი გოგო, რომელიც წლების შემდეგ ჩემი მეუღლე და ჩემი სამი ვაჟის დედა გახდა“,** – ასე იხსენებს გია ონიანი მეუღლესთან პირველ შეხვედრას. ქრისტინე რევიშვილი პროფესიით ექიმი-ოტორინოლარინგოლოგია. ერთი პერიოდი თოდუას სახელობის კლინიკაში მუშაობდა, მაგრამ შემდეგ თავად გადაწყვიტა შვილების აღზრდაში მაქსიმალურად მიეღო მონაწილეობა და სამსახურს თავი დაანება. მეუღლისგან ხელშეწყობა ჰქონდა, რომ პროფესიულად განვითარებულიყო, მაგრამ ვერადავერ შეარჩია სათანადო ძიძა და შვილების წამოზრდამდე ტაიმ-აუტი აიღო. შემდეგ, ცხოვრება სხვაგვარად აეწყო – ბატონმა გიამ ბიზნესი წამოიწყო, ნულიდან – ერთი კომპიუტერით, ერთი პატარა ოფისით. ქალბატონი ქრისტინე მაქსიმალურად დაუდგა მეუღლეს გვერდსა და ბიზნესსაც კარგად აუღო ალღო. დღეს, საოჯახო ბიზნესი მან გადაიბარა.

სამი ბიჭი ჰყავთ: 15 წლის ლუკა, 14 წლის საბა და 8 წლის ილია. ლუკა და საბა ჭიდაობით არიან გატაცებულნი. ლუკას გადაწყვეტილიც აქვს, დიდ სპორტს შეეჭიდოს. სპორტული მიღწევები უკვე აქვს. საბა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, რა პროფესიას აირჩევს. მას სპორტის გარდა კიდევ ერთი გატაცება აქვს – ხეზე კვეთა. ხის ოსტატ ჯაბა ჯოხაძის დამსახურებით, ამ მიმართულებით ვითარდება და წელს, 161-ე სკოლაში, გამოფენაზეც გაიტანა თავისი ნაშრომები. სხვათაშორის, ეს ერთადერთი სკოლაა საქართველოში, რომელსაც ხეზე კვეთის მუზეუმი აქვს.

ნაბოლარა ილია კი ძმებს შორის ყველაზე ცელქია. დიდებს ეუფროსება კიდეც. ილია პატრიარქის ნათლულია და განსაკუთრებული ნიჭითაცაა დაჯილდოებული – კარგი სმენა და ხმა აქვს და საოცრად მღერის. კახა ონაშვილის მოსწავლემ 8 წლის ასაკში უკვე 20-მდე ხალხური სიმღერა იცის, თანაც ორ – პირველ და მეორე ხმაში. ილია ფეხბურთითაცაა გატაცებული. ეს ნიჭი დედის ხაზით, ბაბუისგან გადმოეცა.

თავისუფალი დრო როგორც კი გამოუჩნდება, ცდილობს, ბიჭების აღზრდაში მაქსიმალურად ჩაერთოს. ვარჯიშზე, სიმღერაზე თავად წაიყვანოს. ლუკას კი, სპორტულ განვითარებაში დაეხმაროს – მწვრთნელთან ერთად ვარჯიშის პროცესში მამაც ხშირად ერთვება, ასწავლის და რჩევა-დარიგებებს აძლევს.

ძალიან უყვართ ერთად სადმე ბუნებაში გასვლა. განსაკუთრებით ბედნიერები ლენტეხში არიან. ზამთარ-ზაფხულ აქეთ მოუწევთ გული. ზაფხულობით, მეგობრებთან ერთად კარვებსაც დასცემენ ხოლმე მუნიციპალიტეტის ულამაზეს ტყეში.

პანდემიის პერიოდი ლენტეხში გაატარეს. ყანა დათესეს, ბოსტანი მოაწყეს... მიწასთან მუშაობას ქალაქელმა დიასახლისმაც აუღო ალღო. „ყანისთვის უნდა მიგვეხედა, როცა თბილისიდან დამირეკეს და სასწრაფოდ გავხდი წასასვლელი. რამდენიმე დღით მომიწია დედაქალაქში დარჩენა. ერთ დღეს, მირეკავს ქრისტინე ვიდეოზარით. მანქანით მივდიოდი საქმეზე. ვუპასუხე. კადრში ვხედავ, ქრისტინე დგას თოხით ხელში, გვერდს საბა უმშვენებს და უცებ სიცილით მეკითხება „კაია ქალაქი?“, – იხსენებს კანდიდატი და სიამაყით გვიმხელს, რომ მეუღლემ იმ წელს ყანაც აიღო, ბოსტანშიც კარგი მოსავალი მოიწია და მთელი ზამთარი, ეკოპროდუქტით გამოკვება ოჯახი.

როცა ვკითხე, იმერელმა გოგომ კუბდარის გაკეთება თუ ისწავლა-მეთქი, ღიმილით მიპასუხა: „სხვათა შორის, ეგ იმერელი გოგო, იმერელი აღარ არის. ჩვეულებრივი სვანია და ეჯიბრება სვანობაში. მთელი ჩემი სანათესაოს შემკრებია. კუბდარს კი ისეთს აცხობს, ბევრ სვან ქალს შეშურდება“.

სვანი ქალის ხსენებაზე კანდიდატს ისევ დედა ახსენდება – გაუნელებელი ტკივილი. დედამ სიკვდილის წინაც მოახერხა შვილისთვის ისეთი „ფრაზა“ დაეტოვებინა, რომელიც ბატონმა გიამ ცხოვრების დევიზად გაიხადა – დედა ტრაგიკულად, 2004 წლის 2 ოქტომბერს, დაიღუპა. ალბათ ბედისწერა იყო, რომ ამბავს ბატონი გიას მეგობრები შეესწრნენ. გადაბრუნებული ავტობუსის ქვეშ მოყოლილ ქალთან საშველად მიირბინეს. სიკვდილთან მებრძოლს, წარბი არ შეხრია. არც შველა უთხოვია. სვანი ქალის მტკიცე ხასიათი სიცოცხლის ბოლო წუთებშიც გამოავლინა და შვილის მეგობრებს ჩასჩურჩულა „კაბა გამისწორეთ!“

დედის უკანასკნელი, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვები გია ონიანის მეხსიერებიდან არასდროს იშლება. მას შემდეგ ამ პრინციპით და ამ დევიზით ცხოვრობს – ყველა ნაბიჯი ისე უნდა გადადგას, ღირსება არ უნდა შეელახოს! არ უნდა შერცხვეს! გია ონიანმა იცის, თუ მისი ოჯახისთვის საკრალურ 2 ოქტომბერს გამარჯვებას მოიპოვებს, მშობლიური ლენტეხის განვითარებისთვისაც სწორედ ამ პრინციპით იბრძოლებს!

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ლენტეხის მუნიციპალიტეტზე,** გამოიყო 7 335 619 მილიონი ლარი, დაფინანსდა 12 842 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (118 023,4 ლარით 11 376 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (603 913 ლარით 7 025 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (4 389 726 ლარით 3 524 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (1 386 537 ლარით 1 157 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (271 850 ლარით 463 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (259 659 ლარით, დაფინანსდა 418 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 881 ბენეფიციარი (54 8859 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ლენტეხში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 100 % იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ლენტეხში,** სტაციონარული მკურნალობით 33-მა (94 091 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 472-მა პაციენტმა (36 491 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღები იყო 713 ორსული (38 242 ლარი), მედიკამენტების – 165.




2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 357 პირი, დაიხარჯა – 80 775 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ლენტეხში, 2013-2021 წლებში სულ 128 შემთხვევა 187 499 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ლენტეხის მუნიციპალიტეტს 32 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ხოფური (45 686 ლ), თეკალი (24 118 ლ), ჩიხარე (22 079 ლ), ხელედი (27 901 ლ), რცხმელური (39 568 ლ), ჟახუნდერი (31 550 ლ), ახალი **ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში:** ბაბილი (75 000 ლ), ლასკადური (74 999 ლ), გულიდი (75 000 ლ), დაბა ლენტეხი ახალგაზრდობის ქუჩაზე (75 000 ლ).

2013 წელთან შედარებით **5-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 255,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 51,2 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა ღონისძიებები.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ლენტეხის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 1455 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 1 876 780-დან 3 963 801 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 25 095 218 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ლენტეხში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 19 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,2-ჯერ – 29 537-დან 95 779 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 675 195 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ლენტეხის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 702 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 1,4-ჯერ – 1 047 ათასიდან 1479 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 12 145 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 4 599 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 1 697 ათასი ლარი, ბავშვებზე – 3 171 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ლენტეხში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 421 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 4,2-ჯერ – 164 566-დან 773 002 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 5 383 971 ლარი.



**ლენტეხის მუნიციპალიტეტში 83 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 47 472 ლარიდან 47 925 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 446 561 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დაკმაყოფილდა 4 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 2 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 2 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ლენტეხში დაფინანსებულია 57 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 625 300 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 103 000 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ლენტეხის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია – 402 330 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 188 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 205.

**ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 65-მა პირმა, 2021 წ. – 64-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, პრორამაში ჩაერთო 2020 წ. – 101 პირი, 2021 წ. – 97 (ივნისის მდგომარეობით).

**დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები,** მათ შორის: შშმ პირების ყოველთვიური დახმარება, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ერთჯერადი სოციალური დახმარება, ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარება, ხანძრით დაზარალებულთა დახმარება, უშემოსავლო ოჯახების ერთჯერადი დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დიალიზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორციელდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



დაბა ლენტეხის საბავშვო ბაღი

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ლენტეხში ფუნქციონირებს 16 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 1 – დაბა ლენტეხში, ხოლო 15 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ლენტეხში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 632,4 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 322,4 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 108 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტი. მათ შორის:**

**2014 წელს** ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციას 64 ათასი ლარი მოხმარდა, საბავშვო ბაგა-ბაღების ინვენტარით აღჭურვაზე კი 100 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2018 წელს** მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციას 120 ათასი ლარი მოხმარდა – განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია დაბა ლენტეხში, სოფლებში: ხელედი, ნაცული, ჩიხარეში, ჟახუნდერი, სასაში, თეკალი.

**2019 წელს** დაბა ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას 119 ათასი ლარი მოხმარდა. ახალი საბავშვო ბაღი აშენდა სოფელ მელეში, რაზეც 300 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2020 წელს** მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლენტეხის, სოფელ მელეს, წანაშის, ხელედის, რცხმელურის, ხოფურის, ყვედრეშის, გვიმბრალას, თეკალის, ქველფის, სასაშის, ჩიხარეშის, ჟახუნდერის, ნაცულის, შკედის საბავშვო ბაგა-ბაღებს. საბავშვო ბაღებში ძირითადად მოწესრიგდა სველი წერტილები და სამზარეულო ბლოკები. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდიდან 159,7 ათასი ლარით დაფინანსდა.

**შესრულებული სამუშაობის შედეგად, 2021 წელს, საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 145 აღსაზრდელი დადის.**

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 30 ლარამდე გაიზარდა. ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა **ბავშვების კვების რაციონი.**

**სასკოლო მზაობის პროგრამა** მიმდინარეობს 1 საბავშვო ბაღის 1 ჯგუფში, მასში ჩართულია 15 აღსაზრდელი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 25 აღმზრდელ-პედაგოგი და 19 აღმზრდელი, აქედან სასკოლო მზაობის პროგრამას ახორციელებს 2 აღმზრდელ-პედაგოგი. საბავშვო ბაღებს 3 ექიმი და 1 ფსიქოლოგი ემსახურება.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

## ზოგადი განათლება

**ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საჯარო სკოლა,** სადაც 497 მოსწავლე და 177 მასწავლებელია (მათგან 2 – სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია ერთი სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლაში.

სკოლებს არ ჰყავთ მანდატურები. სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წლიდან სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №65/ნ-ის მიხედვით ახორციელებს სკოლის დირექტორების მიერ განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადებას.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის:** პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან 63 მოსწავლე იყო ჩართული. მათ შორის, **2017-2019** წლებში – 51. 2017-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, საჯარო სკოლებში 5 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, ფინანსურად ხელი 10 სასკოლო აქტივობის განხორცელებას შეეწყო. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 2018 წელს, სსოფელ ხელედის საჯარო სკოლას – 12, 2019 წელს კი, სოფელ ხოფურის საჯარო სკოლას 3 კომპიუტერი გადაეცა. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით, 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 837 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 24 პროექტი განხორციელდა. 2013-2019 წლებში, ლენტეხის საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 21 პროექტი განხორციელდა. **2020 წელს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები („ახალი სკოლის“ მოდელი),** მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემა დაინერგა 1 სკოლაში. **2021 წელს** „ახალი სკოლის“ მოდელში, დამატებით 3 სკოლა ჩაერთო. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში, 11 საჯარო სკოლის (43 მიმართულება) 253 მოსწავლეა ჩართული. 2017-2020 წლებში, ლენტეხის საჯარო სკოლებს, ჯამში, 365 **სასკოლო ჟურნალი და** 15 398 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** საჯარო სკოლების პირველკლასელებს საჩუქრად 282 კომპიუტერი გადაეცათ, 52 – კლასის დამრიგებლებს, 25 – წარჩინებულ მოსწავლეებს. 2013-2019 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 18 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. 2020 წელს სკოლებში **პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით** 1 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

**სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით,** 2013-2021 წლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 15 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 6 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის 1 – სოფელ ხელედის საჯარო სკოლაა ჩართული.

**2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას (ჩოლურის, სასაშისადა ხელედის საჯარო სკოლებს), რაზეც სულ 103,2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** მოეწყო დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახი, დახარჯულია 62 ათასი ლარი. **2015 წელს** განხორციელდა ლენტეხის №1 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და მოეწყო ჩიხარეშის საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახი, რაც სულ 69,7 ათასი ლარით დაფინანსდა. **2016 წელს** განხორციელდა ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ჩიხარეშის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაზეც სულ 25,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს:** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ხელედის საჯარო სკოლას (MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსება – 93 ათასი ლარი). განხორციელდა დაბა ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტირება/ნაწილობრივი რეაბილიტაცია (2,5 ათასი ლარი). **2018 წელს** დაფინანსდა: სოფელ ხელედის საჯარო ბიოლოგიური გამწმენდი საშუალებების მომსახურება (1,8 ათასი ლარი); **2019 წელს** განხორციელდა ლენტეხის №1, სოფელ თეკალის, რცხმელურის, ჟახუნდერის, ფანაგის, მელესა და ჩიხარეშის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რასაც, საერთო ჯამში, 292,1 ათასი ლარი მოხმარდა. **დაფინანსდა:** სოფელ ხელედის საჯარო სკოლის გათბობის მოწყობილობისა და გენერატორის ძრავების შეძენა (1,1 ათასი ლარი).

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** საჯარო სკოლების 9 ინფრასტრუქტურული პროექტი 291,4 ათასი ლარით დაფინანსდა. სველი წერტილები, პანდუსები და კარ-ფანჯრები მოწესრიგდა ლენტეხის №1, სასაშის, ჟახუნდერის, მელეს, თეკალის, ფანაგის, ჩიხარეშის, რცხმელურის საჯარო სკოლებში. **2020 წელს –** საჯარო სკოლებში საკანალიზაციო სისტემების მოწყობის 4 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 44,1 ათასი ლარი დაიხარჯა. საკანალიზაციო სისტემები მოეწყო სოფლების – ჩიხარეშის, ჟახუნდერის, რცხმელურისა და ხელედის საჯარო სკოლებში.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **სოციალური პროგრამის ფარგლებში,** 2013-2016 წლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსება მოიპოვა 40-მა სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2017-2018 ს/წელს დაფინანსდა 10 სტუდენტი. 2018 წლიდან სოციალური პროგრამის ფარგლებში, **დაფინანსება მოიცავს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის (ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა დაფინანსებას. 2018-2019 სასწავლო წელს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 15 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 15 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს – 15 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- **გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:** დაგეგმილია საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბლიტაციის 10 პროექტი, ახალი ბაღები აშენდება სოფლებში: გვიმბრალი, ქველიერი, საყდარი და წანაში; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ რცხმელურის, ხოფურის, სასაშის, ჯახუნდერისა და ჩიხარეშის საბავშვო ბაღებს; დაბა ლენტეხის საბავშვო ბაღში განხორციელდება ერთი ფლიგერის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას. განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ლენტეხში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** 2021-2024 წლებში დაგეგმილია საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 8 პროექტი, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან, 1 მლნ 720 ათასი ლარი დაიხარჯება; განხორციელდება სოფ. რცხმელურის, ჩოლურის (თეკალის), ფანაგის, სასაშის, ჟახუნდერის, ხოფურის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, სოფელ ჩიხარეშისა და დაბა ლენტეხის №1 საჯარო სკოლებში კი – ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
- **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** განხორციელდება სოფელ ჩიხარეშის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია – 108 ათასი ლარი; სოფელ სასაშის საჯარო სკოლის საკლასო ოთახებში იატაკების რეაბილიტაციას (5 ოთახი) კი 30 ათასი ლარი მოხმარდება;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ლენტეხის მთავარი ბიბლიოთეკა, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა, 15 სასოფლო ბიბლიოთეკა (მებეცის, მელეს, შკედის, ჩიხარეშის, ჟახუნდერის, სასაშის, საყდარის, თეკალის, ლესემის, ხელედის, გულიდის, ნანარის, ყვედრეშის, ხოფურის, რცხმელურის), ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება: ა(ა)იპ ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი; სამხატვრო სკოლა, მუსიკალური სკოლა „იავნანა“, ხელედისა და ნანარის კულტურის სახლები, ჩოლურის ფოლკლორის სახლი, მ/ა სახლი „ძიება+” მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ანსამბლები „ლილე“, „მიჟე ნარი“, „ლაშხეთი“ და „ლამარია“.

2013 წელთან შედარებით, **მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 545,4 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 376,8 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდებოდა სახალხო დღესასწაულები „ლენტეხობა“ და „სკალდობა“, ტრადიციად იქცა ახალგაზრდული ფესტივალი „სვანფესტი“, იმართებოდა კონცერტები, ლიტერატურული და თემატური საღამოები, ეწყობოდა გამოფენები და ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გაიზარდა ბიბლიოთეკებით მოსარგებლეთა და მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობა.

**2019 წელს, სამინისტროს ხელშეწყობით, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით,** ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კამერული მუსიკის კონცერტები სახელწიფო კამერული ორკესტრის მონაწილეობით.

**2015 წელს** ჩატარდა ლენტეხის მუზეუმისა და სოფელ გულიდის ეკლესიის განათების სამუშაოები (3 ათასი ლარი).

**2016-2017 წლებში,** დაბა ლენტეხში, ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობაზე 324,6 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

**2017-2018 წლებში,** დაბა ლენტეხში, ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას (საცავები, ვიტრინები, ჯარგვალის კეთილმოწყობა) 97,5 ათასი ლარი მოხმარდა. იმავე წელს, ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის დასრულებაზე 51,4 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017 წელს დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს** ლენტეხის მუზეუმის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს.

**განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების:** შტვილის კოშკის, მელეს, მუწდისა და გულიდის ეკლესიების აღდგენა-რეაბილიტაცია. **დასრულდა** დაბა ლენტეხში ამაღლების ეკლესიისა და მასთან მისასვლელი კიბეების მოწყობა-რეაბილიტაცია.

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა:** ა(ა)იპ ლ. მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია (15 ათასი ლარი, 2013); რეგიონული ფესტივალი „არტრა“ (8,4 ათასი ლარი, 2016). ასევე განხორციელდა:

**2018-2019 წლები –** ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბულეში, მუკბანიანების კოშკის რეაბილიტაციის I და II ეტაპი (103,4 ათასი ლარი).

**2019 წელი –** ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მამის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; საკონსერვაციო სამუშაოები (37 ათასი ლარი).

**2020 წელი** – სოფელი შტვილში, მუკბანიანების კოშკის რეაბილიტაცია (86,4 ათასი ლარი, მე-3 ეტაპი).

## სპორტი

**ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული:** ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანება (ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა, ალპინიზმისა და მეკლდეურობის სასპორტო სკოლა, საფეხბურთო სკოლა „ლენტეხი“ და სასპორტო სკოლა „ლაშხეთი“) და ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა სპორტის სფეროს დაფინანსება** და 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები ზრდა 217 ათასი ლარით განისაზღვრა.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი, ალპინიზმი და მეკლდეურობა. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები სხვადასხვა ჩემპიონატში, ტურნირსა და შეჯიბრში მონაწილეობდნენ და არაერთ წარმატებას მიაღწიეს.

**აღსანიშნავია ლენტეხელ სპორტსმენთა შედეგები: მეკლდეურებმა** საქართველოს ჩემპიონატზე მოიპოვეს მრავალი ჯილდო, გუნდური პირველი ადგილი და ჯოკია გუგავას სახელობის თასი ლენტეხში ჩატარებულ საქართველოს ღია ჩემპიონატში; საქართველოს პირველობაზე **სამბოში** პირველი ადგილი მოიპოვა ლევან გუგავამ; საქართველოს პირველობაზე **ძიუდოში** მეორე ადგილზე გავიდნენ თორნიკე გვიჭიანი და ლევან გუგავა; თურქეთში, ქ. ანტალიაში, ევროპის თასის გათამაშებაში კადეტთა შორის ძიუდოში პირველ ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა თორნიკე გვიჭიანმა, მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი – ლევან გუგავამ, ხოლო გოგონათა შორის პირველი ადგილი და მედალი – ეთო ლიპარტელიანმა; საქართველოს პირველობაზე **ქართულ ჭიდაობაში** მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი ლიპარტელიანმა; საფრანგეთში, ქ. ტულუზაში, სამბოში ოქროს მედალი მოიპოვა და ევროპის ჩემპიონი გახდა ლევან გუგავა; ლენტეხელი **მორაგბეები** წარმატებით ასპარეზობდნენ ბავშვთა სარაგბო ფესტივალებზე.

**სამ ახალგაზრდა სპორტსმენს, რომლებმაც მოიპოვეს ოქროს მედლები ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე, გადაეცა ფულადი ჯილდო.**

**მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სპორტის სახეობების განვითარების მიზნით,** სასპორტო სკოლების გაერთიანებაში ჭიდაობისა და ოლიმპიური მომზადების ცენტრში, რაგბის სექციების მთავარ მწვრთნელებად ქალაქ თბილისიდან და ქალაქ ქუთაისიდან მიიწვიეს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მწვრთნელები, რამაც ხელი შეუწყო ამ სახეობების პოპულარიზაციას, მასობრიობის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ, ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმატებული შედეგების მქონე სპორტსმენთა რიცხვი.

სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლე-სპორტსმენები სისტემატურად გადიოდნენ 10-დღიან საწვრთნელ შეკრებებს ზაფხულში – შავი ზღვისპირეთის ქალაქებში, ხოლო ზამთარში, წინასაშეჯიბრო შეკრებებზე მიდიოდნენ ქ. თბილისში. მონაწილეობა მიიღეს მრავალრიცხოვან გასვლით ღონისძიებაში.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა სპორტის სამსახურის, ა(ა)იპ-ებისა და სპორტული კლუბების ვებგვერდები სოციალურ ქსელში, რომელთა მეშვეობითაც დაინტერესებული მოსახლეობა სპორტის სიახლეებს ოპერატიულად გაეცნობა.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2014-2016 წლებში** – ლენტეხის სპორტული კომპლექსის ცენტრალური სტადიონის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, სტადიონზე სარბენი ბილიკების მოწყობა და შენობის რეაბილიტაცია (149,9 ათასი ლარი); მინისტადიონების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (5,2 ათასი ლარი); ჭველიერში, ხოფურასა და ცხმელურაში მინისტადიონების მოწყობა (79,4 ათასი ლარი); დაბა ლენტეხში ო. ლიპარტელიანის სახელობის სტადიონზე გრუნტის შეტანა (1,9 ათასი ლარი); ჩიხარეშში, წანაში და დაბა ლენტეხში (ჭავჭავაძის ქუჩა) მინისტადიონების მოწყობა (დაფინანსდა რეგიონული განვითარების ფონდიდან)



**2015 წელს,** სოფელ ხოფურსა და რცხმელურში, მოეწყო მინისტადიონები (76,6 ათასი ლარი – რეგიონული განვითარების ფონდი).

**2016 წელს** მინისტადიონები მოეწყო დაბა ლენტეხში (ჭავჭავაძის ქუჩაზე) და სოფლებში: ჩიხარეში და ცანა, რაზეც 144,8 ათასი ლარი დაიხარჯა (რეგიონული განვითარების ფონდი).

**2017 წელს** მინისტადიონები მოეწყო სოფლებში: გულიდა, ყარიში, ბაბილი, ლასკადურა, მელურა, საყდარი, ფანაგა, ხელედი, ლესემა, ხოფური, ყვედრეში, რცხმელური, გვიმბრალა, ლამანაშური, ლეკოსანდი, ჟახუნდერი, მელე, შკედი, რაზეც, საერთო ჯამში, რეგიონული განვითარების ფონდიდან 371,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2018 წელს** განხორციელდა მინისტადიონების მშენებლობის II ფაზა სოფლებში: ლესემა, მელურა, ყარიში, საყდარი, ფანაგა, შკედი, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 120 ათასი ლარი მოხმარდა.

**2019 წელს** მინისტადიონები მოეწყო სოფელ სასაში, ლეკოსანდში, გულიდასა და ბაბილში, რაზეც, ჯამურად რეგიონული განვითარების ფონდიდან 240,8 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2020 წელს** მინისტადიონები მოეწყო სოფელ ლემზაგორში, ლუჯიში, ქველფში, ნანარში, გვიმბრალაში, მაზაშში, ქველიერში, მებეცში, ნაცულში, რაც რეგიონული განვითარების ფონდმა, ჯამში, 400,2 ათასი ლარით დააფინანსა.

**2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის:**

**2013-2016 წლებში, სპორტულმა ფედერაციებმა** მუნიციპალიტეტში 4 შიდა ჩემპიონატი (დაიხარჯა 14,8 ათასი ლარი) და 5 სასწავლო საწვრთნელი შეკრება (დაიხარჯა 13,1 ათასი ლარი) ჩაატარეს და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი შეიძინეს (დაიხარჯა 12,3 ათასი ლარი). სამინისტრომ 2 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (დაიხარჯა 27,4 ათასილარი).

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ჩართულობით, 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული; აღინიშნა საერთაშორისო დღე – სპორტი მშვიდობის და განვითარებისათვის".

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **„მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში,** მუნიციპალიტეტში დასაქმებული **9 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს**. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

**2019 წელს ლენტეხის სპორტულ ცენტრს გადაეცა 9 ათასი ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი.**

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზედული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელა:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა (ცაგერი-ლენტეხი-ამბროლაური, 30 მონაწილე); ტურნირი ქართულ ჭიდაობაში; „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ლაშქრობების მოწყობა რეგიონის მასშტაბით (3-3 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 მონაწილე თითეული მუნიციპალიტეტიდან);


ლენტეხი, სოფ. ნანარი

„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტში შემდეგი პროექტები განახორციელეს: „ლენტეხის ხეივანი“, „გაიხსენე ძველი ხელობა“, „სვანფესტი“, „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“, „ტრადიცია და ტურიზმი – ქვემო სვანეთის ახალი სიცოცხლე“, „სვანური ტრადიციული რეწვისა და სუვენირების სოციალური საწარმო“, სულ ღირებულება – 89,0 ათასი ლარი. პროექტები მიზნად ისახავდა: ლენტეხში ხეივნის გაშენებას 2800 მეტრზე, გარემოსდაცვითი სამუშაოების ჩატარებას, ახალგაზრდებისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დამზადების სწავლებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კულტურული ტურიზმის განვითარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას, სვანეთის, როგორც ტურისტული ზონის ცნობადობის ამაღლებას, სოციალური საწარმოს შექმნას და ტრადიციული სვანური რეწვის განვითარებას.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ლენტეხის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზედული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია დაბა ლენტეხის მუზეუმში მაჩუბის რეაბილიტაცია, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 100 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2022-2025 წლებში, დაგეგმილია მამის მაცხოვრის ეკლესიის რეაბილიტაცია, რაზეც 150 ათასი ლარი დაიხარჯება;
- იგეგმება ჩუკულის ტაძრის, ლეუშერის და მებეცის კოშკების რეაბილიტაცია, სკალდის ეკლესიაში დაცული ფრესკების შესწავლა-რესტავრაცია, რის შედეგად გადარჩება ადრეული და შუა საუკუნეების სვანური არქიტექტურული ძეგლები და სვანური ხატწერის უნიკალური ნიმუშები;
- იგეგმება ლარაშის ციხის, აღდგომის ეკლესიისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაბა ლენტეხში გაგრძელდება ლ. მუსელიანის სახელობის მუზეუმის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაგეგმილია დაბა ლენტეხის ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 100 ათასი ლარი მოხმარდება;
- 2021-2023 წლებში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 2 მლნ 850 ათასი ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია: სპორტული კომპლექსის სრული რეაბილიტაცია დაბა ლენტეხში (500 ათასი ლარი); ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის სპორტკომპლექსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი); ახალი საცურაო აუზის მოწყობა ლენტეხში (2 მლნ ლარი); სპორტსკოლა „ლაშხეთის“ რეაბილიტაცია სოფელ ჟახუნდერში (150 ათასი ლარი);
- 2021-2022 წლებში ახალი მინისტადიონების მოწყობაზე 520 ათასი ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია მინისტადიონების მოწყობა სოფლებში: ნანარი, გვიმბრალა, ლუჯი, ქველფი და ლემზაგორი (250 ათასი ლარი); ნაცული, მებეცი, ლექსურა, ლამანაშური და ლეუშერი (250 ათასი ლარი); კახურა, ფაყი, ბავარი და მაზაში (20 ათასი ლარი);
- დაგეგმილია მინიმოედნების რეაბილიტაცია სოფელ თეკელსა და ქველიერში, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 67,7 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2021-2022 წლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) დადგმაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 400 ათასი ლარი დაიხარჯება. ტრენაჟორების დადგმა დაგეგმილია: 2 ახალი კომპლექტის მოწყობა დაბა ლენტეხში (50 ათასი ლარი); ტრენაჟორების 12 ახალი კომპლექტის მოწყობა სოფლებში: რცხმელური, ხოფური, ხელედი, თეკალი, ჟახუნდერი და ჩიხარეში (150 ათასი ლარი); მელე, სასაში, ფანაგა, ბაბილი, ყარიში, წანაში, ნანარი, ლასკადურა (200 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის პატივია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარმადგინა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩემს პოლიტიკურ გუნდს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებთან გამკლავება ადგილობრივი ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვის საგნად უნდა ვაქციოთ. იმავდროულად კი, უნდა გვახსოვდეს, რომ ძირეული საკითხების გადაწყვეტაში ცენტრალური ხელისუფლება დაგვეხმარება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რაც ტურიზმისა და სხვა სფეროების განვითარების საწინდარია. იმავდროულად, მნიშვნელოვანია, აქტიურად მოვიზიდოთ ინვესტიციები ტურისტული და სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებით; ვითანამშრომლოთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რათა წამოვიწყოთ პროექტები განათლების, პროფესიული განვითარებისა თუ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. დიდი სურვილი მაქვს, ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით, შევძლოთ და ადგილობრივი მოსახლეობა ლენტეხში დავაბრუნოთ. ამისთვის კი მოვაწყობთ როგორც სათანადო ინფრასტრუქტურას, ისე მაქსიმალურად დავეხმარებით ახალგაზრდებს, რათა საკუთარ კუთხეში სრულად რეალიზება შეძლონ! პირობას გაძლევთ, ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ჩვენი ხალხისა და მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ, მე და ჩემი გუნდი ძალისხმევას არ დავიშურებთ.

კიდევ ერთხელ, გიხდით მადლობას ნდობისთვის. მომავალ არჩევნებზე თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, მჯერა, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.